საშუალო სკოლის ის მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდის ჩაბარების დროს საუკეთესო წარმატებას გამოიჩენენ, ოქროს ან ვერცხლის მედლით იქნებიან დაჯილდოებულნი. ოქროს მედალი წარჩინებული ყოფაქცევის იმ კურსდამთავრებულს მიეცემა, რომელსაც საგამოცდო საგნებში და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში შეფასება „5“ ექნება. ვერცხლის მედალს მიიღებენ წარჩინებული ყოფაქცევის ის მოსწავლეები, რომლებსაც ყველა საგამოცდო საგანში ექნებათ შეფასება „5“ და არასაგამოცდო საგნებში მიიღებენ არაუმეტეს სამი „4“-სა.

მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის ამ დადგენილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უკვე დაამტკიცა „დებულება სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების შესახებ“. დებულებით გათვალისწინებულია, რომ სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდაზე მხოლოდ ის მოსწავლენი დაიშვებიან, რომელთაც გაიარეს საშუალო სკოლის მთელი კურსი და ყველა სასწავლო საგანში მიიღეს საბოლოო შეფასება არანაკლებ „3“-სა და წარჩინებული ყოფაქცევისა არიან.

სიმწიფის ატესტატის მისაღებად კურსდამთავრებულმა უნდა ჩააბაროს შემდეგი საგნები: 1. ქართული ენა, 2. ქართული ლიტერატურა, 3. რუსული ენა, 4. რუსული ლიტერატურა, 5. მათემატიკა, (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), 6. ფიზიკა, 7. ქიმია, 8. ისტორია (სსრ კავშირის ისტორია, ახალი ისტორია, საქართველოს ისტორია), 9. უცხო ენა. არაქართული საშუალო სკოლის მოსწავლენი, გარდა ჩამოთვლილი საგნებისა, გამოცდებს აბარებენ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

დასახელებული საგნებიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, — აგრეთვე არაქართულ სკოლებში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ტარდება წერითი და ზეპირი გამოცდები, სხვა საგნებში კი—მხოლოდ ზეპირი, ამასთან ის მოსწავლე, რომელიც წერითი გამოცდის დროს ჩაიჭრება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, აღარ იქნება დაშვებული შემდეგი გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოცდებს ატარებს კომისია, რომელსაც სკოლის დირექტორი თავმჯდომარეობს. კომისიაში შედიან საგნების მასწავლებლები, ორ-ორი ასისტენტი თვითეულ საგანში საშუალო სკოლის უფროსი კლასების მასწავლებელთაგან და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი. კომისიის თავმჯდომარედ და წევრებად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ დასრულებული უმაღლესი განათლების მქონე პირები. საშუალო სკოლებში, სადაც უმაღლესი განათლების არმქონე მასწავლებლები მუშაობენ, განათლების სახალხო კომისარიატი ჰგზავნის უმაღლესი განათლების, მქონე მასწავლებლებს და მათ აკისრებს საგნებში გამოცდების ჩატარებას. დებულების მიხედვით, განათლების სახალხო კომისარიატს უფლება ენიჭება ასეთი სკოლების მოსწავლეთათვის აგრეთვე სხვა, მეზობელ საშუალო სკოლაში ჩაატაროს გამოცდები.

მოსწავლე, რომელიც ყველა საგამოცდო საგნში მიიღებს შეფასებას არანაკლებ „3“-სა და არის წარჩინებული ყოფაქცევისა, ითვლება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულად, ეძლევა სათანადო ატესტატი და უფლება ენიჭება შევიდეს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში. ყოფაქცევითა და წარმატებით საუკეთესონი, როგორც ზეგით აღინიშნა, ოქროს ან ვერცხლის მედალს და განსაკუთრებული ნიშნის ატესტატს მიიღებენ. ოქროს მედლით დაჯილდოებული უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ მიიღება, ხოლო ვერცხლის მედლის მქონენი, შესასვლელი გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პირველ რიგში ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში.

საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლენი, რომელნიც გამოცდისას თუნდაც ერთ საგანში ჩაიჭრნენ, განმეორებით მეათე კლასებში ალარ დაიშვებიან. მათ ეძლევათ მოწმობა, რომელშიც აღნიშნული იქნება ცალკე სასწავლო საგნებსა და ყოფაქცევაში საბოლოო შეფასება. მეათე კლასებში განმეორებით არც ის მოსწავლენი იქნებიან დაშვებულნი, რომელთაც მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასებანი და ამის გამო სიმწიფის ატესტატზე გამოცდის ჩაბარების უფლება არ მიეცათ, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ამ მოსწავლეებს სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების უფლება არ ერთმევათ. პირველებს შეუძლიათ ერთი წლის შემდეგ ისევ გამოვიდნენ იმავე სკოლაში გამოცდებზე, ხოლო მეორეებს—მომდევნო წელს წინასწარ ჩაბარონ გამოცდები იმ საგნებში, რომლებშიც არადამაკმაყოფილებელი შეფასება ჰქონდათ და ამის შემდეგ გავიდნენ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად ტარდება ყოველ წლის 20 მაისიდან 25 ივნისამდე. აღნიშნული დებულება ძალაში შედის 1944-45 სასწავლო წლიდან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილება „სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და მის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული „დებულება სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების შესახებ“ სახალხო განათლების მუშაკთა სახრძოლო პროგრამაა. ისინი წარმოადგენენ იმ გადაწყვეტილებათა დაგვირგვინებას, რომელნიც მიღებულია საბჭოთა მთავრობის მიერ სამამულო ომის დღეებში სკოლის შესახებ. ცხოვრებაში მათი წარმატებით გატარებისათვის უნდა დირაზმონ საბჭოთა სკოლის მუშაკები.

ვოროშილოვის სახელობის საბავშვო სანატორიუმი ტაშკენტის ახლოს, აქ უმთავრესად ფრონტელთა შვილები ისვენებენ. სურათზე: ბავშვები კურდღლის ბაჭიით. ფოტო მ. პენსონისა

რა არის ინრრა?

(პასუხი ამხანაგებისა: ნ. გულაშვილის, ვ. ჟურდაშვილისა და ს. დვალის შეკითხვაზე).

ინ ინ

ბეთანიის საბავშვო სახლი

ბეთანია—ეს უძველესი ქართული სოფელი ცნობილია თავისი მონასტრით, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, მერვე საუკუნეშია აგებული. აი, ამ წარმტაცი სოფლიდან სამი კილომეტრის დაშორებით, შშვენიერი ფოთლოვანი ტყის პირას აგებულია საამსართულიანი, კოხტა ინვენებით შემკული შენობა. ომამდე აქ საკავშირო პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლი იყო. სამამულო ომის პირველ წლებში იგი ჰოსპიტლად გადაკეთდა, ხოლო 1943 წლის აგვისტოდან აქ მუშაობს საბავშვო სახლი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში.

სახლის დანიშნულებაა ფრონტელთა შვილების, უპატრონო ბავშვთა აღზრდა. ამჟამად ბეთანიის საბავშვო სახლში 200-მდე ბავშვია. სახლის ადმინისტრაცია, მისი პედაგოგ-აღმზრდელები მშობლიურ მზრუნველობას უწევენ ბავშვებს. დირექტორი გ. ახვლედიანი, რომელსაც ბავშვებთან მუშაობის თორმეტი წლის გამოცდილება აქვს, მართლაც მოსიყვარულე დედასავით დასტრიალებს თავს გოგონებსა და ბიჭუნებს, რომ დირსეული მოქალაქენი ალუზარდოს საბჭოთა სახელმწიფოს.

ბეთანიის საბავშვო სახლში დაცულია სამაგალითო სისუფთავე, ბავშვებს სძინავთ სუფთა ლოგინებში, აცვიათ ლამაზად,—კვებაც კარგი აქვთ.

დირექტორს გვერდში უდგანან აღმზრდელი-მასწავლებლები, რომლებიც აგრეთვე დღედაღამ თავს დასტრიალებენ ნორჩ ალაზრდელებს. მათ შორის გამოირჩევიან ვლ. მიქელაძე (სახლთან არსებული შვიდწლედის დირექტორი), რ. ჭიაბრიშვილი, ნ. გურაღლია და სხვ. მათი მეოხებით არის, რომ ბეთანიის საბავშვო სახლში სწავლის საქმე მაღალ საფეხურზეა.

კარგად არის დაყენებული ბავშვებში შრომითი ჩვეულების დანერგვის საქმე. საბავშვო სახლთან არსებობს დამხმარე მეურნეობა (დირექტორი—გ. ფალავანდიშვილი), რომელსაც ექვსი ჰექტარი ფართობი უჭირავს. დათესილია კარტოფილი, სიმინდი, ჭარხალი და სხვადასხვა ბოსტნეული. ბავშვები თვითონ ამუშავებენ ნაკვეთებს.

23 ივლისს ბეთანიის საბავშვო სახლში დიდი ზეიმი იყო. ამ დღეს უნდა გიხილნათ საბაფხულო მოედანი. მართალია, წვიმამ დაბრკოლა მოედნის გასვლა, მაგრამ ზეიმი არ ჩაშლილა: კლუბში თავმოყრილმა ბავშვებმა, მოწვეულმა სტუმრებმა და დამხმარე მეურნეობის მუშებმა ხალისით მოისმინეს პიონერ-მომღერალთა გუნდის (ლოტბარი ი. როინიშვილი) და ცალკე ბავშვების გამოსვლა. სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვეს გოგონებმა ფოფხაძემ, ზუბიაშვილმა, სოკოლოვამ, სკრუბინკოვამ და ხაჩატუროვამ. საგულისხმო ამ უკანასკნელის ბიოგრაფია. მას არ ახსოვს არც დედა, არც მამა. ორი წლისა იყო საბავშვო სახლში რომ მიიყვანეს. ის აქ გაიზარდა. წელს დამთავრა შვიდწლედი, მშვენივრად ცეკვავს, მღერის—და უდავო აქტიორულ ნიჭს ამჟღავნებს. მის წინაშე ცხოვრების გარკვეული გზაა გადაშლილი. საბავშვო სახლმა მისი სახით ღირსეული ქალიშვილი აღუზარდა ჩვენს საშშობლოს.

ბეთანიის ბავშვთა ზეიმს დაესწრო კოჯრის პირველი საბავშვო სახლის ზოგიერთი მოსწავლე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საკონცერტო განყოფილებაში. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ლექსების კითხვით ციალა ყორეოლაძემ, ხოლო ცეკვით—ლალი მაყაშვილმა.

დიდია საბავშვო ხანლების როლი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. პარტია და მთავრობა მათ ყურადღებას არ აკლებენ, საბავშვო სახლების მატერიალური ბაზა ყოველწლიურად უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ხარვეზი, რომელთა გამოსწორება საჭიროა. მაგალითად, ბეთანიის საბავშვო სახლს არ გააჩნია არც ტელეფონი, არც რადიო-გაყვანილობა. ტელეფონი ბეთანიისათვის აუცილებელია. ზამთრის პირობებში ეს ქალაქთან დაკავშირების თითქმის ერთად-ერთი საშუალება იქნება, რადგან ამ კუთხეში დიდი თოვლი იცის და ზეზეთ ზოგჯერ სავსებით ჩაიკეტება ხოლმე. წინათ აქ ტელეფონის ხაზი ყოფილა. საჭიროა მისი აღდგენა.

შ. ბუაჩიძე

„კომუნისტის“ წერილების

კვალდაკვალ

„სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 20 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ხილნაღის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ალავერდაშვილი გვატყობინებს: წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. პარტრაიკომმა დასახა ღონისძიებები კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სოფელ ვაქირის გაზეთი „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გოგალაშვილი იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო მოსავლისათვის კარგად მომზადება, აგრეთვე სხვა დანაშაულის გამო კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით მოხსნილია თავმჯდომარეობიდან. სოფელ ვაქირის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ უკეთ მოაწყო დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა. კომბაინების რემონტი ულიანოვკის მტს-ში დამთავრებულია. სოფელ მაღაროს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილია ხორბლეულის თავთავების ამკრეფი ჯგუფები კოლმეურნეებისა და მოზარდებისაგან. მოწესრიგებულია მარცვლეულის მიღება მელაანის მომღებ პუნქტში.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობები და მტს-ები ენერგიულად აწარმოებენ მოსავლის აღებას. კოლმეურნეები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ.

„აღმოვფხვრათ იერიშობანა ჩაის კრეფაში“

გაზეთ „კომუნისტის“ 30 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია „აღმოვფხვრათ იერიშობანა ჩაის კრეფაში“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის მდივანი ამხ. ხ. დარჯანია გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტების სისწორე დადასტურდა. პარტრაიკომის ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რუსეთის არმიის პირველი არტილერიის გენერალი

ალექსანდრე არჩილის-ძე ბაგრატიონი, საქართველოს მეფის არჩილის შვილი და რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმაისტერი, დაიბადა ქ. თბილისში 1674 წელს.

საქართველოსათვის არახელსაყრელად შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ მეფე არჩილი აიძულა ოჯახიანად წასულიყო რუსეთს, რომელმაც იგი გულითადად მიიღო თავისი მფარველობის ქვეშ. არჩილის მცირეწლოვანი შვილები ალექსანდრე, მამუკა და დარეჯანი 1681 წელს მოწყობილ იქნენ მეფის კარზე. ალექსანდრე იზრდებოდა პეტრე I-თან ერთად. ბავშვობა და ყრმობის პირველი წლები მათ ერთად გაატარეს. ალექსანდრე მონაწილეობდა პეტრეს პირველ სამხედრო თამაშობებში და გახდა ერთ-ერთი მასთან დაახლოებული პირი. როცა პეტრე ტახტზე ავიდა და საზღვარგარეთ მგზავრობა განიზრახა, გულდასმით შერჩეულ ამალაში მან ჩარიცხა მეფის ძე ალექსანდრეც. პეტრემ, მისთვის ჩვეული წინასწარმეტყველებისა და ადამიანთა გამოცნობის უნარით, შეამჩნია და დააფასა ალექსანდრეს ნიჭი.

სახელმწიფოს განზრახულ რეფორმებთან დაკავშირებით პეტრეს ესაჭიროებოდა ახალი, ნასწავლი და პროგრესიული ადამიანები, რომლებსაც იგი მიუნდობოდა. ამისათვის პეტრემ თავი მოუყარა ნიჭიერ ახალგაზრდებს და მეცნიერებათა შესასწავლად საზღვარგარეთ გაგზავნა.

ალექსანდრემ, როგორც სამხედრო საქმისადმი მიდრეკილების მქონემ, კარგად შეისწავლა არტილერია. შვედებთან ომამდე ცოტა ხნის წინ ალექსანდრე სპეციალური ბრძანებულებით დანიშნულ იქნა რუსეთის არტილერიის სამმართველოს („პუშკარსკი პრიკაზ“) უფროსის მაღალ თანამდებობაზე. ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: „არტილერიის სამართველოში ყველა საქმე განაგოს მეფის ძე ალექსანდრემ“.

პასუხსაგები თანამდებობა რომ დაიკავა, ალექსანდრე მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა არტილერიის საქმის მოწყობასა და სრულყოფას. ალექსანდრე ოწვევდა გამოცდილ ოსტატებს ზარბაზნების ჩამოსასხმელად ახალი ნიმუშების მიხედვით, ზრდიდა ქვემეხების საერთო რაოდენობას, ჰქმნიდა ეჯარის ცალკე საარტილერიო ნაწილებს. მაგრამ დაწყებულმა ომმა მას ხელი შეუშალა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა.

არც პეტრეს გენიას, არც ალექსანდრეს ენერგიასა და უნარს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ასე მოკლე ხანში არტილერიის და საერთოდ მთელი არმიის ხარისხის ასე გაუმჯობესება, რომ 1700 წელს ერთბაშად მოეგო ომი ნარვასთან. სამაგიეროდ ამ ბრძოლიდან პეტრემ, თავისივე სიტყვით, შემდეგში ისწავლა შვედების დამარცხება.

ის საფუძველი, რაც რუსეთის მძლავრი არმიისა და რუსეთის არტილერიის შექმნას პეტრემ და ალექსანდრემ ჩაუყარეს, მტკიცე საყრდენი გახდა, რაზედაც მალე გაიზარდა რუსეთის სამხედრო ძლიერება, რომელმაც პოლტავის ბრძოლაში შემუსრა შვედების უძლეველობა.

ორ საუკუნეზე მეტმა ხანმა განვლო მას შემდეგ. მეფის ძე ალექსანდრეს სახე განსაკუთრებით სიმბოლიურია. იგი თითქოს განასახიერებს რუსეთისა და საქართველოს ადრინდელ ძმობას, შემდგომი ისტორიით დადასტურებულს, რამაც სრული გამოხატულება ჰპოვა ჩვენს დროში, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დღეებში.

მეფის ძე ალექსანდრე გარდაიცვალა 1711 წელს.

სურათზე: პეტრე I-ლი და ალექსანდრე არჩილის-ძე ბაგრატიონი ნარვასთან ბრძოლაში 1700 წელს.

ნახატი მ. ვადბოლსკისა.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის შექმნის შემდეგ

(საკდესის ევროპის მიმოხილველის სტატია)

პოლონელი ხალხის წარმატებები ერთიანობის უზრუნველყოფის საქმეში — ერთიანი ანტიჰიტლერული არმიის შექმნა და არალეგალური ანტიჰიტლერული ბრძოლის პირობებში ხელისუფლების ნამდვილი სახალხო ორგანოების—კრაივეთი რადა ნაროდოვას, შემდეგ კი პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელიც წარმოადგენენ პოლონეთის ყველა პოლიტიკურ ძალებს, მიღწეულ იქნა ლონდონში მყოფი ემიგრანტული „მთავრობის“ გარეშე და მისი საქმიანობის წინააღმდეგ, მთავრობისა, რომელიც აღმოჩნდა პოლონელი ხალხისაგან იზოლირებული და პოლონეთში მომხდარ ამბებს ჩამოშორებული.

პოლონეთის ცნობილმა პროგრესულმა მოღვაწემ პროფესორმა ოსკარ ლანგემ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, შეაფასა რა პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის“ როლი პოლონეთის ცხოვრების მწვავე პერიოდში, ჩიკაგოში შემდგარ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა:

„პოლონეთის ისტორიის გადამწყვეტ ჟამს, პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობა“ სავსებით გაკოტრებული აღმოჩნდა. ამ მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ წითელი არმია გამოიფიტებოდა და შეკავშირები გაითიშებოდნენ. არც ერთი ეს მოლოდინი არ გამართლდა. იმის გამო, რომ პოლონეთის ემიგრანტულ „მთავრობას“ არ აღმოაჩნდა უნარი წინასწარ დაეხახა და შეეფასებინა პოლონეთის განთავისუფლების პირობები, მან დაჰკარგა უფლება, რომ შემდგომში უხელმძღვანელოს პოლონელი ერის ბედს. ნაციონალური ერთიანობის ინტერესებისათვის პოლონელ პატრიოტთა კავშირი ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ მზად იყო კონტაქტი დაემყარებინა ემიგრანტულ მთავრობასთან. იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა მთავრობაზე, რომელიც ხელმძღვანელობს მისწრაფებით მოკავშირეთა ერთიანობისადმი. შორსმჭვრეტელობის უქონლობის გამო ემიგრანტულ მთავრობას გამოეპარა ხელსაყრელი მომენტი.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის შექმნა აუცილებელია და მისი გადადება არ შეიძლებოდა. საბჭოთა მთავრობას არა სურს შეჰქმნას სამხედრო ადმინისტრაცია პოლონეთში, ვინაიდან ეს იქნებოდა პოლონელებზე რუსების ხელისუფლების დამყარების მომასწავებელი, ამიტომ პოლონეთის სამოქალაქო ადმინისტრაცია უნდა წარმოშობილიყო, როგორც კი წითელი არმია შევიდა უდავოდ პოლონეთის ტერიტორიაზე.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ხელისუფლება სცნო მთელმა პოლონეთმა. ამ მომენტში პოლონელი ხალხის სახელით გამოსვლის უფლება ემიგრაციისაგან გადაიდგა პოლონეთში შექმნილი ხელისუფლების ხელში. პოლონელთა ემიგრაცია არასოდეს არ აყენებდა ეჭვქვეშ საკითხს იმის შესახებ, რომ პოლონელ ხალხს უფლება აქვს გადასწყვეტოს პოლონეთის საქმეები. ამეამად დადგა დღე, როცა პოლონეთმა მოიპოვა სიტყვის თავისუფლება და ჩვენ ვემორჩილებით მის ნებას-სურვილს“.

ინგლისში არსებულმა პოლონურ-სლავურმა კომიტეტმა მიმართვა გაუგზავნა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეს ოსუბკა მორავსკის. მიმართვაში, რომელიც ახასიათებს პოლონურ-სლავური კომიტეტის დამოკიდებულებას პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობისადმი“, ნათქვამია:

„ჩვენ კრაეკია რადა ნაროდოვას და მის მიერ დანიშნულ ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს ვცნობთ პოლონეთის რესპუბლიკის ერთად-ერთ კანონიერ ხელისუფლებად“.

ამასთან დაკავშირებით გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც ოსუბოეთის პრესა იჩენს მიკოლაიჩიკის ემიგრანტული „მთავრობის“ შემდგომი ნაბიჯებისადმი და ამჟამად მოსკოს მიკოლაიჩიკის გამგზავრებისადმი.

მთელმა რიგმა ინგლისურმა და ამერიკულმა გაზეთებმა აზრი გამოსთქვეს მოსკოს მიკოლაიჩიკის გამგზავრების გეგმის სასარგებლოდ და ამასთან ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობა“, რომელიც ლონდონში იმყოფება, ერთობ დიდხანს აყოვნებდა და გაურბოდა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის პირდაპირ და გულწრფელ დამყარებას და სავსებით მოსწყდა თავისი ქვეყნის ხალხს. ამასთან ზოგიერთი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს: მოკავშირეები არ დაუშვებენ, რომ ლონდონს მყოფი პოლონელთა წრეები მომავალში გახდნენ ისეთი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია ინგლისს-ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გააუარესოს.

ამიგად, ნეგლეი ფარსონი, ეხება რა პოლონეთის ემიგრანტულ „მთავრობას“, ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილში“ სწერს: „ამ მთავრობას არასოდეს არ გამოუჩენია იმის უნარი, რომ კონტროლი გაეწია პოლონეთის ფარგლებს გარეთ მყოფი პოლონური არმიისათვის, რაც უდავოდ დაამტკიცა ზოგიერთმა ამას წინათ მომხდარმა ამბავმა... არც ბრიტანეთის, არც ამერიკის მთავრობა მზარს არ დაუჭერს პოლონელებს პოლიტიკურად დახლართულ რაიმე საკითხში იმდენად, რომ ამ მზარდაჭერამ სერიოზული ზიანი მიაყენოს ინგლის-ამერიკის ქვეყნებისა და რუსეთის კარგ ურთიერთობას“.

„ტაიმსის“ დიპლომატიურ მიმოხილველს სრული საფუძვლით მიაჩნია, რომ „მიკოლაიჩიკი საკმაოდ გვიან მივემგზავრება“.

უცხოეთის პრესის მთელი რიგი ორგანოები აღნიშნავენ, რომ მიკოლაიჩიკის გამგზავრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ იგი შესძლებს საერთო ენა გამონახოს საბჭოთა მთავრობასთან და უწინარეს ყოვლისა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან.

პოლონელთა რამდენიმე პროგრესულმა ორგანიზაციამ ლონდონში დეპეშით მიმართა მიკოლაიჩიკს, რომელშიც ხაზგასმით, დაყენებით არის აღნიშნული, რომ საჭიროა „მიღწეულ იქნას ყველა დემოკრატიული ძალების სრული ერთიანობა პოლონეთის ნაციონალურ საბჭოსთან და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან შეთანხმების გზაზე“.

ლონდონის გაზეთი „დეილი ჰერალდ“ სტატიაში, რომელიც ოკვე მოხსენებული იყო ზემოთ, ააწყარავებს იმ პოლონელ რეაქციონერთა პრინციპული პოზიციის პროზაულ სარჩულს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პოლონელ ხალხთან და რომელნიც „ანსაზოვრავენ პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის“ ყოფაქცევის ხაზს.

„საჭიროა ზედველობაში მიღებულ იქნას,—სწერს გაზეთი,—რომ პოლონეთის ზოგიერთი დიდი მამული, რომლებიც ეკუთვნით—უმეტესი პოლიტიკური გავლენის მქონე მიწათმფლობელებს, რომელნიც მზარს უჭერენ პოლონეთის უკანასკნელ მთავრობას, აგრეთვე ლონდონში მყოფ ახლანდელ ემიგრანტულ „მთავრობას“, სწორედ აღმოსავლეთის საცილობელ „ტერიტორიაზეა“. ამავე გარემოებას ადასტურებს ჟურნალი „სატერდეი ნაიტ ტიკლი“, რომელიც აღნიშნავს, რომ „ახლანდელი პოლონური პრეტენზიები საცილობელ რაიონისადმი არ არის დასაბუთებული არც ისტორიული და არც ეთნიური თვალსაზრისით და აიხსნება პოლონეთის მმართველი დიდ მიწათმფლობელთა ვისწრაფვიანი — შეინარჩუნონ ვეზერთელა მამულები“. ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ ლევიცკის სტატიაში, რომელიც მან გამოაქვეყნა, აღიარებდა, რომ პოლონელი რეაქციული ემიგრაციის საცილობელ „აღმოსავლეთის ტერიტორიაზე პოლონელები გამოდიოდნენ, როგორც კოლონიზატორები და მჩაგვრელები“.

ამრიგად, პოლონელთა ემიგრაციის რეაქციონერი წარმომადგენლები, რომელნიც წიგნიერთა და ყვირილით აყენებენ თავიანთ მოთხოვნებს პოლონეთის საზღვრების საკითხში, მხოლოდ საკუთარი მამულების ბედისათვის ზრუნავენ.

პოლონელმა ხალხმა უკვე სთქვა თავისი სიტყვა პოლონეთის ახლანდელი და მომავალი ბედის თაობაზე იმით, რომ შეჰქმნა თავისი არმია და ხელისუფლების თავისი ორგანოები და სრულ ერთიანობას მიაღწია ამ საკითხთა გადაწყვეტაში. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მის მიერ დაკავებული გზიდან გადაადგოს პოლონელი ხალხი, რომელიც თავისი ცხოვრების უაღრესად პასუხსაგებ პერიოდს ვარიცდის და განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელნიც წარმოადგენენ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის საერთო მტერს. საბჭოთა კავშირმა, დასდო რა შეთანხმება პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და პოლონეთის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ, ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი სრული პატივისცემა პოლონელი ხალხის სუვერენული ნებისყოფისადმი.

ა. შატილოვი

ანგლიკანელი გამოსვლები ბუდგარეთში

სტამბოლი, 30 ივლისი (საკდესი). როგორც აქ გადმოგვცემენ, ჰიტლერზე თავდასხმის ცნობებს ბულგარეთში თან ახლდა ანტიჰიტლერული გამოსვლები. სოფიაში ბულგარელთა ჯგუფმა სცემა ორ გერმანელ ოფიცერს, რომელნიც ცდილობდნენ აღეკვეთათ ეგრეთწოდებული „ცრუ ხმების“ გავრცელება. ვარნაში გერმანელთა გარნიზონში მცელვარობა მოხდა. 25 ივლისს იქ 15-ელები გაგზავნეს თვითმფრინავებით. როგორც იუწყებიან, ამბოხების მონაწილეთაგან დაატიტიტრეს და გერმანიაში გაგზავნეს 17 გერმანელი ოფიცერი „იმისათვის, რომ ისინი არასწორად განმარტავდნენ ჰიტლერზე თავდასხვის ფაქტს“.

ამერიკის 1000 ბომბდამშენი თავს დაესხა გერმანიას

ლონდონი, 29 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის 1000-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი 29 ივლისს თავს დაესხა სინთეზური რეზინის ქარხანას მერზებურგში და სხვა ობიექტებს გერმანიაში.

ინგლისის ფვითმფრინავების თავდასხმა ფრანკფურტზე

ლონდონი, 30 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 29 ივლისს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ფრანკფურტს.

უძველესი იარაღებისა და ნივთების აღმოჩენა

საჩხერე („კომუნისტის“ კორესპონდენტი, საგან). დაბა საჩხერეში ცარცის საბადოებზე მიწის თხრისას მუშები წააწყდნენ უძველეს სასაფლაოს. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოს ნაჯახი, ხანჯალი, შუბი და სხვა საომარი იარაღი. ნაპოვნია აგრეთვე ძვირფასი სამკაულები: საყურეები, სამაჯურები. აღმოჩენილია დიდძალი კერამიკა.

ასეთივე უძველესი იარაღები და სამკაულები აღმოჩნდა საჩხერის რაიონის სოფელ კალუთასა და დურეკში. კალუთაში საგენახე მიწის გათხრისას უძველეს იარაღებთან და ფულთან ერთად აღმოჩნდა სუფთა სპილენძის ნატეხი, რომელიც 5 კილოს იწონის.

კარგი იქნება ამ აღმოჩენებით დაინტერესდნენ სათანადო სამეცნიერო ორგანოები, მიაკვლინონ საჩხერეში ექსპედიცია და მეცნიერებას არ დაუკარგონ ეს ძვირფასი ნივთები, რომლებმაც შესაძლოა რაიმე ახალი გვითხრას ჩვენი სამშობლოს შორეულ წარსულზე.

რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრის კოლექტივი 2 აგვისტოს შეიკრიბება ახალი სეზონისათვის, მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. თეატრი 1944-45 წლის სეზონს გახსნის 1 სექტემბერს, ს. კლდიაშვილის პიესით „ირმის ხევი“, რომელიც დაწერილია კავკასიის დაცვის თემაზე. პიესას სდგამს ა. ვასაძე, მხატვრულად აფორმებს თ. აბაკელია, მუსიკას სწერს ი. ტუსკია.

თეატრს მომავალ სეზონში განზრახული აქვს დასდგას უ. შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“. პიესას სდგამს ა. ვასაძე, მხატვრულად აფორმებს ს. ვირსალაძე, მუსიკას სწერს ი. ტუსკია, ლირის როლს შეასრულებს ა. ხორავა. თეატრს რეპერტუარში აქვს აგრეთვე სუნდუკიანის „ხათაბალა“, შ. დადიანის პიესა კავკასიის დაცვის თემაზე, ვ. ცაგარელის პიესა „განსაცდელი“ და პიესა ბაგრატიონის შესახებ.

რეპერტუარში რჩება წინა სეზონის დადგმები: „ოტელო“ (განახლებული დადგმა როლების გადანაწილებით), „არსენა“ (ალდაგენილი დადგმა), „სირანო დე ბერჟერაკი“, „ულანაშაულოდ დამნაშავენი“, „ლალატი“, „საშობლო“, „სამპარძლო ოფიშით“, „ოლეკო დუნდიჩი“, „ყრწანისის გმირები“ და „კიკვიძე“.

თეატრმა წელს დასი შეავსო ახალგაზრდა ძალებით: დასში მიიღეს ია რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ურსდამთავრებული 3 ვაჟი და 2 ქალი.

ქალათაურთელთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება თბილისში

სსრკ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა გადასწყვიტა თბილისში 2-დან 9 აგვისტომდე მოაწყოს ქალათაურთელთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება.

პირველობის ვათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან საქართველოში გამოემგზავრნენ სასპორტო საზოგადოებათა „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ უძლიერესი გუნდები, მათ შორის ესტონეთის კლუბის „სპარტაკის“ სახელოვანთქმული გუნდი.

ლენინგრადიდან თბილისში მოიმგზავრება ესტონეთის კლუბის „ალეეის“ გუნდი, წითელი არმიის სახლის და სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ გუნდები.

სასპორტო მოედნებზე თბილისელები ნახავენ კიევის, ნოვოსიბირსკის, ბაქოს, გროზნის, ტაშკენტის კალათბურთელებს. (საკდესი).

მწერალთა კავშირში

3 აგვისტოს 1 საათზე შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის პლენიუმი ვაფარათოებული სხდომა, რომელიც განიხილავს ქართული თეატრისა და დრამატურგიის საკითხებს. მოხსენებას თემაზე „ქართული თეატრი და დრამატურგია“ წაიკითხავს ამხ. შალვა დადიანი.

ლექცია

1 აგვისტოს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პროპაგანდისტებისა და პარტორგანიზაციის მდივნებისათვის ჩატარდება ამხ. ლარეულიანის ლექცია. თემაზე: „მეფის რუსეთი მსოფლიო ომში“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, საზაფხულო თეატრი და ბაღი, პლეხანოვის, 123.

1, 2, 3 და 4 აგვისტოს

ქართული ესტრადის თეატრის

უკანასკნელი გამოსვლები

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

მამა გიორგი, ბებია ელისაბედ, და ვენერა, მამიდა სარა, სიძე სერგო გელაშვილი შვილებით იუწყებიან **ნელი ანდრიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/VIII, 7½ ს. ბესიკის, 22, გამოსვენება 2/VIII, 6½ ს.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ლოლეტა, მზია, დები თამარ, ნადია, ქეთო იუწყებიან **ლილა დავითის-ასულ კაჭკაჭიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1/VIII, 6 ს. ხოდაშენის, 10.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ივანე, მერი, იაკობ, რძალი ვალია, შვილიშვილები მირანდა, ბიკა იუწყებიან **სიმონ ივანეს-ძე ბალახაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2/VIII, 7 ს. გამოსვენება 3/VIII, 6 ს. კ. მესხის, 17.

ვენერა, მიშა გეთიები შვილებით რეზოთი, ჯემალით, ზზიათი იუწყებიან **ნუნუ მატუაშ** გარდაცვალებას.

ქმარი გრიშა, შვილები ეთერ, მერი, ლეგური იუწყებიან **ანა (ანიჩკა) მალრაძე-ქადაგიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/VIII.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ნიკოლოზ ცოლ-შვილით, თინათინ, მიხეილ, ბარბარე იუწყებიან **კონსტანტინე თადეოზის-ძე დვალის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/VIII, 7 ს. გამოსვენება 2/VIII, 6½ ს. ჩხიკვაძის, 40.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 УО 00321